


**შავ ზღვაში აკვაკულტურის (თევზის მოშენების) სანებართვო
განაცხადის ფორმა ნებართვის მისაღებად ინვესტორის მიერ წარსადგენი
ინფორმაცია**

ნებართვის მაძიებელი	შპს ბათუმი ფიშინგ კომპანი ს/ნ 404643383
საკონტაქტო პირი	თამარ იოსელიანი, ლევან ხაჭაპურიძე
მისამართი	მთაწმინდის რაიონი, ამაღლების ქ., N 12, ბ. 57
ქალაქი	თბილისი
საფოსტო ინდექსი	0105
ტელეფონი	577-49-99-33; 591-45-18-98.
	tamarioseliani@gmail.com ; levan.khachapuridze@yahoo.com

1. ინფორმაცია მოთხოვნილი საზღვაო სივრცის შესახებ

საზღვაო სივრცის ადგილმდებარეობის შესახებ	
<p>საქმიანობის განხორციელების ადგილის რუკა, ფართობი და გეოგრაფიული კოორდინატები (Giz გეოინფორმაციული სისტემების კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად)</p>	
<p>საზღვაო სივრცის ზოგადი აღწერა</p>	<p>ნებართვის მაძიებლის მიერ წინამდებარე სანებართვო განაცხადით აკვაკულტურის საწარმოებლად მოთხოვნილია 1 420 ჰა-ს მქონე ფართობის საზღვაო სივრცე (დამატებით ვურთავთ SHP ფაილს და შესაბამის ფოტოსურათს), საიდანაც 100 ჰა-ზე განთავსებული იქნება თევზების ფერმა და გალიები.</p>

	<p>სანებართვო მეურნეობის ტერიტორიას აქვს კარგი წყალსატევის ფსკერის პირობები და მისი წყლის სიღრმე მერყეობს 75-დან 200 მ-მდე. სსიპ სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა კომპანიის სახელით ჩაატარა კვლევა, რომლის ფარგლებშიც შეადგინა სიღრმის დეტალური რუკები (ბათიმეტრიული ინფორმაცია).</p> <p>დამატებით, ტერიტორიაზე განთავსებული ორი ეკოლოგიური ტივტივას მონაცემების მიხედვით, წყლის დინება ჩანს თანაბარი და კარგი, რაც უზრუნველყოფს კარგ პირობებს თევზის მეურნეობისათვის. აღნიშნულ საკითხზე კვლავ მიმდინარეობს დაკვირვება ტივტივას მონაცემების მიხედვით და გავაგრძელებთ კიდევ 1 წელი, რათა ამ საკითხს დავაკვირდეთ დინამიკაში.</p> <p>წყლის ტემპერატურა კარგია შესაბამისი სახეობების მეურნეობისათვის ოქტომბრიდან - ივნისამდე პერიოდში.</p>
<p>ნებართვის მოქმედების ვადავადა (არაუმეტეს 20 წელი)</p>	<p>20 წელი</p>
<p>კულტივირების ტიპი</p>	<p><input type="checkbox"/> ჩაძირული გალია (წყალქვეშა)</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მოტივტივე გალია</p>
<p>წარმოების წლიური მოცულობა, მოთხოვნილი ფართობის საჭიროების დასაბუთება წარმოების მოცულობასთან კავშირში (გთხოვთ,</p>	<p>ნებართვის მაძიებელი კომპანიის მიერ პირველ 4 წელიწადში განხორციელდება 17 500 000 აშშ დოლარის ინვესტიცია, ხოლო 4 წელიწადში მოსალოდნელი წარმოების მოცულობა არის 3 600 000 ტონა, 7 წელიწადში კომპანიის მიერ განხორციელდება 27 500 000 აშშ დოლარის ინვესტირება, ხოლო ამ პერიოდზე სავარაუდო წარმოების მოცულობა არის 13 600 000 ტონა; 10 წელიწადში კომპანიის მიერ დაინვესტირდება 10 000 000 აშშ დოლარი, ხოლო ამავე პერიოდში წარმოებული თევზის მოცულობა იქნება 18 600 000 ტონა.</p> <p>მითითებული რიცხვები მიღებულია გამოთვლის შემდეგი მეთოდის გამოყენებით: სრული მოსალოდნელი წარმოების (მოთხოვნილი სანებართვო ტერიტორიის შიგნით არსებულ ოთხივე უბანზე. დამაგრების ჩარჩოები არის თანაბარი, თითოეული კვადრატით 100x100 მ ზომის, თითოეული სამაგრის სისტემის ზომაა 200x600 მ, ხოლო თითოეული მონაკვეთის ზომა დამაგრების ხაზების ჩათვლით იქნება 800x1200 მ) რიცხვის გაყოფით წინამდებარე სანებართვო განაცხადით მოთხოვნილ ფართობზე.</p> <p>გალიაში თევზის ჩასმის სიმჭიდროვესთან მიმართებით, კომპანია მიყვება და იცავს ნორვეგიულ სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც, თითოეულ გალიაში განთავსებული იქნება არაუმეტეს 200 000 თევზისა და მოთავსდება არაუმეტეს 25 კილო თევზი წყლის თითოეულ კუბურ მეტრზე. აქვე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თევზის მასა (ბიომასა) წარმოების ციკლის განმავლობაში იქნება სხვადასხვა. თევზს</p>

ყველაზე მცირე წონა მოსალოდნელია ციკლის დასაწყისში, როდესაც გალიებში მოთავსებული იქნება 3-დან 400 გრამამდე თევზი, ხოლო ციკლის ბოლოს თევზის მასა მიაღწევს 4 კგ-ს.

აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით შედგენილი ყოველწლიური გრაფიკი, გთხოვთ, იხილოთ წინამდებარე განაცხადზე დანართის სახით წარმოდგენილ ბიზნეს გეგმაში.

წინამდებარე სანებართვო განაცხადის ფარგლებში მოთხოვნილი ფართობის საჭიროების დასაბუთებასთან მიმართებით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ კომპანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია თევზების მეურნეობის ადგილის ოპტიმალური ფართობის განსაზღვრა და მოთხოვნა. აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტისას აქტიურად იყვნენ ჩართულნი გამოცდილი ნორვეგიელი ექსპერტები, რომელთა დასკვნების თანახმადაც, წინამდებარე სანებართვო განაცხადით კომპანიის მიერ მოთხოვნილი ფართობი არის ის მინიმუმი, რომლის კიდევ უფრო მეტად შემცირებითაც შეუძლებელი იქნება, კომპანიამ თევზების მეურნეობის ტერიტორიაზე თავიდან აიცილოს დაავადებათა გავრცელების შანსები. ასევე, მოთხოვნილი ფართობი უზრუნველყოფს მიღწეულ იქნას ოპტიმალური წყლის დინება, კარგი საოპერაციო გარემოებები და ის პირობები, რომლებიც აუცილებელია თევზის მეურნეობისათვის. შესაბამისად, სანებართვო განაცხადებით მოთხოვნილი ფართობი წარმოადგენს იმ ობიექტურ რიცხვს, რომელიც კომპანიის მიერ მიღებულია უსაფრთხოების ზომებისა და რისკის მენეჯმენტის პრინციპების დაცვითა და გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია ამ საკითხში სრულად ეყრდნობა საზღვაო აკვაკულტურაში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, ნორვეგიულ სტანდარტებს N 9410 (გარემოსდაცვითი კვლევა საზღვაო აკვაკულტურის დანადგარების წყალსატევის ფსკერზე გავლენის შესახებ) და სტანდარტს NS9415, რომელიც ეხება ტექნოლოგიების გამოყენებას, აღნიშნული სტანდარტები ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს შემდეგი პრინციპის განუხრელად დაცვას: აკვაკულტურის სათანადოდ განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა სათანადო სივრცის არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მოხერხდება რისკების სწორი და ეფექტური მართვა, შესაბამისად, კომპანიის მიერ უფრო მცირე ფართობის მოთხოვნა გამორიცხავს და შეუძლებელს ხდის მიღებულ იქნას თევზის მოვლის ის ზომები, რომლებზეცაა საუბარი წინამდებარე სანებართვო განაცხადში.

მიუთითეთ მოცულობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ან პრაქტიკა).	მოცულობის გაანგარიშება ხდება მექანიკური გამოთვლების მიხედვით, შემდეგი პრაქტიკით: წარმოების მოცულობა დგინდება გალიების რაოდენობის მიხედვით, ხოლო გალიები, თავის მხრივ, ითვლება AquaSim-ის მონაცემების მიხედვით. საბოლოოდ, ხდება მონაცემების მექანიკური დაანგარიშება.
--	---

წყლის ხარისხი

საწარმოო საქმიანობის შედეგად წყლის ხარისხის გაუარესების რისკი (მათ შორის სანიტარულ-ჰიგიენური მაჩვენებლების მიხედვით)	<input type="checkbox"/> მაღალი X დაბალი <input type="checkbox"/> არსებობს
--	--

ბიოლოგიური და წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით, 1-ლი ფაზის ფარგლებში კომპანია განათავსებს სენსორებს (საიდანაც მივიღებთ ინფორმაციას წყლის ტემპერატურაზე, ჟანგბადის დონესა და წყლის დინებებზე), რომლებიც დამონტაჟებული იქნება გალიებზე. ხოლო მე-2 ფაზიდან კონტროლის მიზნით მონიტორინგის სადგურების დამონტაჟება განხორციელდება საკვებ ბარჯაზე.

2. მოსაშენებელი სახეობების შესახებ ინფორმაცია

მოსაშენებელი სახეობების დასახელება (შეიცავს როგორც ზოგად, ასევე სამეცნიერო სახელს):	ქვირითის, ლიფსიტის და/ან მოზარდულის მიღების წყარო, კომპანიის სახელი და მისამართი	ჩასასმელი მასალების მაქსიმალური რაოდენობა (ცალობაში), ან მისი ბიომასა (კგ.-ში).
ცისარტყელა კალმახი (ზღვის კალმახი) (Oncorhynchus mykiss (Walbaum, 1792))	საწარმოო საქმიანობის პირველ წელს, თუკი კომპანიის მიერ ნებართვის აღება მოესწრება 2024 წლისათვის (ისე, რომ ქვირითის ნოემბრის თვეში გამოჩეკვა მოესწროს), თანამშრომლობას განვიხილავთ კომპანია ADEC -თან (მისამართი: Deri Organize Sanayi Bölgesi, Apre Söğütözü Sokak, No:3	დაგეგმილია 650 - 700 000 ცისარტყელა კალმახის სმოლტების მოშენება, ზომა - 300-500 გრამი 2024 წლის ოქტომბერი/ნოემბერში. ფაზების მიხედვით თევზის სავარაუდო მასა იქნება: 1-ლ და მე-2 ფაზებში თითოეულ გალიაში, სავარაუდოდ, განთავსდება 300 ტონა, ხოლო მე-3, მე-4 და მე-5 ფაზებში თითოეულ გალიაში - 417 ტონა.

	<p>Tuzla/İstanbul/Türkiye), რომელიც განახორციელებს კომპანიისთვის სმოლტების (დეფინიციის თანახმად, სმოლტი წარმოადგენს ახალგაზრდა ორაგულს ან ზღვის კალმახს, რომელიც არის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც იღებს მოზრდილი თევზის ვერცხლისფერ ფერს და მზად არის ზღვაში გადასასვლელად) მოწოდებას. მომწოდებელი კომპანია ADEC-ი 2017 წლიდან ოპერირებს ამ დარგში და აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება. ასევე, მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ თურქულ კომპანია - Fishark seafood-თან (მის.: 29 Ekim Mah. 9218 Sokak No:4 35875 Yazıbaşı, Torbalı - İzmir / Türkiye), რომელიც ოპერირებს 2011 წლიდან და დღეის მდგომარეობით, წარმოადგენს თურქეთში ზღვის პროდუქტების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ექსპორტიორს.</p> <p>ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ 2024 წლისათვის ლიცენზიის მოპოვება ვერ მოესწრება, კომპანია თანამშრომლობას განიხილავს ადგილობრივ კომპანიასთან - Guriafish-თან, რომელმაც უნდა მოახდინოს შესაბამისი გადაიარაღება.</p> <p>გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომპანია განიხილავს საკუთარი სალიფსიტე საწარმოს გახსნას (აშენება და მისი სათანადოდ აღჭურვა), რომლისთვისაც განხორციელდება დამატებით არანაკლებ 3 მლნ აშშ დოლარის ინვესტირება, საიდანაც არანაკლებ 1 მლნ-</p>	
--	---	--

	ის ინვესტირება მოხდება პირველ 5 წელიწადში. სალიფსიტე საწარმოსათვის დამატებით საჭირო გახდება 15 ადამიანის დასაქმება.	
--	---	--

გენეტიკური ფორმები (ჰიბრიდი, ტრიპლოიდი) :
ცისარტყელა კალმახის ქვირითი, მდედრობითი. 1-ლი ფაზის გეგმა ჩაშვებულ იქნას 650 - 700 000 სმოლტი 6 თვეზსაშენ გალიაში.

*შენიშვნა: გარდა ცისარტყელა კალმახისა, რომელიც წარმოადგენს ნებართვის მაძიებლის მიერ მოსაშენებელ სავალდებულო სახეობას, ნებართვის მაძიებლის მიერ დამატებით, ნებაცხოვლობით, შეიძლება განხორციელდეს შემდეგი სახეობების მოშენება: მოლუსკი, ხამანცკა, სიბასი, სიბრიმი, სალმონი.

3. ტერიტორიის განვითარება

თუ თქვენი ოპერაციები მოითხოვს გალიების, ბაგირების, ნებისმიერი სხვა აკვაკულტურის კონსტრუქციის გამოყენებას, საჭიროა წარმოადგინოთ კონსტრუქციების ნახაზები. აუცილებელია კონსტრუქციების ზომები შესაბამის განზომილების ერთეულში (მეტრი, სანტიმეტრი) იყოს მოცემული.

შენიშვნა: ინფორმაციასთან ერთად დანართის სახით წარმოადგინეთ სქემები ან/და ნახაზები.

A. ინფორმაცია კონსტრუქციების შესახებ

აღწერეთ თითოეული კონსტრუქციის ყველა შემადგენელი ელემენტი და მიუთითეთ ზომები ერთსა და იმავე ზომათა ერთეულში (მაგ. მეტრი, სანტიმეტრი).

I. კონსტრუქციის ნახაზი: ნახაზში საჭიროა ასახული იყოს თითოეული კონსტრუქცია, პარამეტრების მითითებით (მაგ. მეტრი, სანტიმეტრი);

II.

კონსტრუქციების ჩამონათვალი: ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვალეთ და აღწერეთ თითოეული ტიპის კონსტრუქცია, რომელსაც გამოიყენებთ.

კონსტრუქციის ტიპი (მგ. თევზსაშენი გალია)	კონსტრუქციის ზომები (მაგ. სიგრძე - სიგანე, დიამეტრი, სიღრმე, სიმაღლე წყლის ზედაპირიდან, ბადის თვალის ზომა, მოცულობა)	წელიწადის დრო, როდესაც იქნება დამონტაჟებული კონსტრუქცია (მაგ. ზამთარი, შემოდგომა-ზამთარი და ა.შ.)	კონსტრუქციის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც განთავსდება მოთხოვნილ ტერიტორიაზე	სახეობები, რომელთა გამოზრდა იგეგმება ამ ტიპის კონსტრუქციებში
თევზსაშენი გალია	120მ. წრეწირის გალიის დიამეტრი 37,68 მ., ხოლო 160 მ-იანი გალიის გარშემოწერილობა იქნება 50.95 მ-ის მქონე დიამეტრის. ბადის თვლის ზომა - 124 მმ.	გალიებისა და ტექნიკის დამონტაჟება/ კონსტრუქციის ჩადგმა განხორციელდება შემოდგომაზე (სექტემბერი-ოქტომბერი), შემოდგომაზევე განხორციელდება თევზის ჩასმა გალიებში (ოქტომბერი-ნოემბერი), გაზაფხულზე (მარტის თვეში) იწყება თევზის დაჭერა, რომელიც დასრულდება გაზაფხულზე ან ზაფხულში (მაისის ბოლოს ან ივნისის თვის დასაწყისში, დამოკიდებულია წყლის ტემპერატურაზე)	თითოეულ ფაზაში იგეგმება 12 გალიის განთავსება, (როგორც პირველ, ასევე ყოველ შემდგომ ფაზაზე) შესაბამისად, 4 ფაზის განმავლობაში, კონსტრუქციის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 48 ერთეული. თითოეულ ფაზაში იგეგმება 1 გალიის განთავსება 1 ჰექტარზე (იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული მონაკვეთი იქნება 200x600 მ ზომის).	ცისარტყელა კალმახი

B. კონსტრუქციების განლაგება

- კონსტრუქციების პარამეტრები;
- კონსტრუქციებს შორის მანძილი;
- ტერიტორიის საზღვრები და ყველა ის კონსტრუქცია თუ საშუალება, რომელიც გამოიყენება საქმიანობისას.
- ზღვის სივრცის განივი კვეთის ნახაზი (დანართის სახით).

ნახაზზე აღნიშნული უნდა იყოს:


მაქსიმალური სტრუქტურა და საყრდენი სისტემის სქემა განსაზღვრული იქნება მიმდინარე უბნის გარემოსდაცვითი გამოკვლევების მიხედვით (მიზანშეწონილობის კვლევა, რომელიც კომპანიამ დაიწყო 2022წლის ნოემბრიდან). დიზაინი, ტიპი და უსაფრთხოების საკითხები დარეგულირებული იქნება ნორვეგიული NS 9415 სტანდარტის მიხედვით (რომელიც, მოთხოვნის შემთხვევაში, შეგვიძლია წარმოვადგინოთ), რომელშიც განსაზღვრულია მცურავი აკვაკულტურის მეურნეობაზე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, რომლებიც ჩვენი მხრიდან იქნება დაცული იმისათვის, რომ ხანძარმა არ გამოიწვიოს თევზის გაქცევის საშიშროება. მიღწეული იქნება ამავე სტანდარტებით გათვალისწინებული უსაფრთხოების დამაკმაყოფილებელი დონე თევზის გაქცევასთან დაკავშირებით ექსტრემალური ამინდის ყოველდღიური მუშაობის შემთხვევაში.

- ზღვის ფსკერი;
- კონსტრუქციის განივი კვეთი;
- კონსტრუქციის მარკირება ზომებისა და მასალის მითითებით;
- სამაგრი მოწყობილობები მოცულობის, ზომისა და სამაგრი საშუალებების მითითებით.

იხ. დანართი 2. დამატებითი ინფორმაციის მოწოდება შესაძლებელი იქნება მიზანშეწონილობის კვლევის დასრულების შემდეგ.

C. დამხმარე კონსტრუქციები

1. აღწერეთ დამხმარე კონსტრუქციები, რომლებიც განთავსდება ადგილზე. მიუთითეთ სქემა და ზომები, მათ შორის კონსტრუქციების განთავსების სიმაღლე ზღვის დონიდან, მასალები და ა.შ.
 - პროექტირებული საკვების ბარჟა, ტიპი - AkvaMaster 400C ტ., განზომილებებით. რელევანტურია პროექტის მე-2 ფაზისათვის.



2. აღწერეთ ნავთობის, საპოხი ან სხვა საშიში მასალების შენახვა და გამოყენება ამ ობიექტზე. ობიექტზე ნავთობპროდუქტების განთავსდების შემთხვევაში დაურთეთ დაღვრის პრევენციის გეგმა.

საკვების ბარჯაზე განთავსებული იქნება ინტეგრირებული დიზელის ავზები. ავზები და აღჭურვილობა სერტიფიცირებულია ინტეგრირებული დიზელის ავზების სტანდარტების შესაბამისად. გარდა აღნიშნულისა, არ არის დაგეგმილი ბენზინის, დიზელის ან სხვა სახიფათო მასალების განთავსება ბარჯ(ებ)ზე, რადგან ადგილ(ებ)ი განთავსდება ნაპირთან იმდენად ახლოს, რომ ამის საჭიროება არ იარსებებს. ბენზინი, დიზელი და სხვა საშიში მასალების შენახვა შესაძლებელია ნაპირზე.

D. კონსტრუქციის ფერი

მიუთითეთ კონსტრუქციების ფერი.

მონტაჟის დროს, რომელიც განხორციელდება 2024 წელს (ფაზა 1), იქნება გამოყენებული HDPE მასალის შავი გალიები. წყალში და ზღვის დონიდან 1,3 მეტრამდე გამოყენებული ბადეების ფერი იქნება შავი. შავი ფერის იქნება ასევე HDPE კვების მილები. ფრინველების ბადეები უნდა დამონტაჟდეს დიდი ზომის ღიობებით და, ამიტომაც, უნდა იყოს ნაკლებად შესამჩნევი (150 კვადრატული მილიმეტრი), რომელსაც თან უნდა ახლდეს 6,5 ან 8,0 მეტრის თხელი ბადეები. საკვების ბარჯა შეღებილი უნდა იქნას მომხმარებლის მიერ მოთხოვნილ ფერში ან/და ეროვნული რეგულაციების მიხედვით. ტივტივები სტანდარტულად, მკვეთრი ფერებით, უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე, თუმცა, ასევე, შესაძლებელია მოწოდებული იქნას ნებისმიერ მოთხოვნილ ფერში.

E. აღჭურვილობის განლაგება

უზრუნველყავით აღჭურვილობის განზოგადებული განლაგების სქემატური ან ფოტოგრაფიული ასახვა, როგორც ეს ჩანს წყლის ზედაპირის ორი თვალსაჩინო წერტილიდან. მიუთითეთ ამ ორი თვალსაჩინო წერტილის მდებარეობა.

- იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარეობს მიზანშეწონილობის კვლევა, კომპანიას ამ ეტაპზე არ გვაქვს შემუშავებული მეურნეობის გალიის სპეციფიკური წყობა, შესაბამისად, არც საბოლოო განლაგება არის დამტკიცებული. თუმცა, მიზნად ვისახავთ, ობიექტი დამონტაჟდეს ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ სურათზე, 1-ლი ფაზა მოიცავს 6 გალიას, რომელთა დიამეტრია 37,68 მ. პროექტის მე-2 ფაზიდან კომპანიას აგრეთვე დაგჭირდება საკვების ბარჯად იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს თევზის საკმარისი გამოკვება. ნაკვეთი საწყისი ხაზი, რომელიც მოიცავს 10-12 გალიას და საკვები ბარჯას, შეიძლება გამოიყურებოდეს ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ, სურათზე (სანიმუშო სურათი) .



თევზების მეურნეობის ობიექტის მაგალითი

4. Անհրաժեշտություն

მითითებები: თუ ახორციელებთ ერთზე მეტი სახეობის კულტივირებას, აუცილებელია ინფორმაციის მითითება თითოეული სახეობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში დაურთეთ დამატებითი ველები.

A. გთხოვთ, განმარტოთ ორგანიზმების გალიებში ჩასმის ღონისძიებები - რომელ თვეებში მოხდება კულტივირებული სახეობების გალიებში ჩასმა და რა ინტენსივობით განხორციელდება ტერიტორიაზე გასვლა ამ დროის განმავლობაში.

სმოლტით (ახალმოზარდეული თევზი) დათევზიანება განხორციელდება მოკლე დროში მას შემდეგ, როდესაც წყლის ტემპერატურა იქნება კრიტიკულზე დაბალი, დაახლოებით 20-22 გრადუსი, როგორც წესი - ოქტომბერში. დათევზიანება განხორციელდება რამდენიმე დღეში, თუმცა, არაუგვიანეს 1 კვირისა, იმის გათვალისწინებით, რომ სმოლტების ქარხნიდან ობიექტამდე ტრანსპორტირება განხორციელდება გეგმის მიხედვით.

B. განმარტეთ თქვენ მიერ დაგეგმილი და შემოთავაზებული კულტივირებული ორგანიზმების მოვლასთან/გამოზრდასთან დაკავშირებული აქტივობები.

გალიებში თევზის მოშენება მოითხოვს, რომ პერსონალი საწარმოო პერიოდში მუშაობდეს ყოველდღიურად, ოქტომბრიდან - მაისი/ივნისამდე. 1-ლი ფაზის მანძილზე (სეზონი 2024/2025) პერსონალი ადგილზე იქნება დღის განმავლობაში გამოკვებისთვის, ბადეების შენახვისთვის და საღუზე სისტემისთვის, აგრეთვე მკვდარი თევზისგან ადგილის გასასუფთავებლად და სხვა საჭირო საქმიანობების შესასრულებლად. შემდგომი ფაზებისთვის და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიღებული იქნება საკვების ბარჟა, მსგავსი საქმიანობის განხორციელება იქნება აუცილებელი ყოველდღიურად. ამავდროულად, პერსონალის ნაწილი დარჩება მეურნეობაში/ნაკვეთზე, ბარჟაზე 24/7-ზე რეჟიმში, იმისთვის, რათა შეასრულოს ზემოთ აღწერილი სამუშაოები და აგრეთვე იმისთვის, რომ დაიცვას მეურნეობის ადგილი. ზაფხულის თვეებში ნაკვეთზე აქტივობა იქნება ძალიან დაბალი, რადგან ადგილზე არ იქნება თევზი, შესაბამისად, განხორციელდება მხოლოდ ობიექტის ზოგადი მოვლა და მზადება ახალი დათევზიანებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელდება ოქტომბერში. 1-ლი ფაზის შემდეგ, პირველ წლებში, შეიძლება ველოდოთ ახალი საღუზე სისტემების დამონტაჟებას, საკვების ბარჟის განთავსებას და თევზის ახალი გალიების წარმოებას ზაფხულში.

C. რამდენად ხშირად გადაადგილდებით ტერიტორიაზე კულტივირებული ორგანიზმების მოვლის/გამოზრდის პერიოდში?

ყოველდღიურად განხორციელდება ვიზიტი ობიექტზე, თუ ამინდი მოგვცემს ამის შესაძლებლობას. 1-ლი ფაზის განმავლობაში აგრეთვე განხორციელდება 24/7-ზე ობიექტის ნაპირიდან ზედამხედველობა დაკვირვება შესაბამისი სისტემებით. როგორც კი საკვების ბარჟის შექმნა/ მოწოდება განხორციელდება, ჩვენ დავტოვებთ პერსონალს ბარჟაზე დღე-ღამის

განმავლობაში, რაც შეამცირებს საზღვაო ტრანსპორტის საჭიროებას მეურნეობის ადგილასა და სანაპირო ბაზას შორის. ეს მხოლოდ ეხება მეურნეობის სეზონს ოქტომბრიდან - მაისი/ივნისამდე.

D. აღწერეთ მოსავლის აღების ტექნიკა და პერიოდი.

პერიოდი, სმოლტებით დათევზიანებიდან (რომელიც განხორციელდება ოქტომბერში) ბოლო თევზის მაისი/ივნისში ბაზარზე გაშვებამდე, შეადგენს მეურნეობის მთელ სეზონს. ჩვენ ჯერ კიდევ ვმსჯელობთ თევზის ამოყვანის მეთოდებსა და იმაზე, თუ როგორ უნდა მოვუაროთ თევზს გალიებიდან ამოყვანის შემდეგ, მანამ, სანამ ის ბაზარზე იქნება გატანილი. თუმცა, გეგმა მოიცავს შემდეგს: თევზი გადმოიტუმბოს გალიიდან გემზე და შემდეგ თევზი წაღებულ იქნას სახმელეთო ბაზაზე (სახმელეთო ბაზის ლოკაციაზე ჯერ კიდევ მომდინარებს კვლევა). თევზის გალიიდან გემზე გადატანის დროს შეიძლება გალიაში დაგვჭირდეს ამოსაყვანი ბადის გამოყენება იმისათვის, რომ თევზი ამოყვანილ იქნეს წყლის ზედაპირზე.

E. რამდენად ხშირად იქნებით ადგილზე მოსავლის აღების პერიოდში?

24/7-ზე, თუკი ამინდი ამის შესაძლებლობას მისცემს კომპანიას.

F. იქნება თუ არა აღჭურვილობა ადგილზე მთელი წლის განმავლობაში? დიახ არა

G. აღწერეთ კონსტრუქციების ადგილმდებარეობის ჩანაცვლების ან „სეზონური გადაადგილების“ გეგმები მოთხოვნილი ტერიტორიის ფარგლებში. მაგალითად, ამოიღებთ თუ არა აღჭურვილობას ტერიტორიიდან და/ან განათავსებთ ხელსაწყოებს შემოთავაზებული ტერიტორიის სხვადასხვა ზონაში? გთხოვთ, მიუთითოთ სად განთავსდება აღჭურვილობა და/ან პროდუქტი ტერიტორიიდან ამოღების შემთხვევაში.

საღუზე სისტემის დამონტაჟების შემდეგ, გალიები და საკვების ბარჟა (მე-2 ფაზიდან) იქნება მეურნეობის ობიექტზე მთელი წლის განმავლობაში. ბადეები მოიხსნება საჭიროების შემთხვევაში დროებით, მოვლა-შენახვის სამუშაოების განსახორციელებლად. საჭიროების არსებობისას, შეიძლება მოიხსნას ფრინველების ბადეები, სხვა შემთხვევაში, ისინი სხვა ბადეებთან ერთად ადგილზე დარჩება.

H. მიუთითეთ ინფორმაცია მაკონტროლებელი ტექნიკის შესახებ, რომლის გამოყენებაც იგეგმება, მათ შორის ფრინველების შემაკავებელი საშუალებები. მოხდება თუ არა კომერციულად ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი აღჭურვილობის გამოყენება. თუ ქარხნული წარმოების აღჭურვილობის გამოყენების შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ ბრენდი და მოდელი, შესაბამისი საპასპორტო მონაცემებით. თუ გამოყენებული იქნება მორგებული აღჭურვილობა, გთხოვთ, დაურთოთ დეტალური სქემა, რომელიც მოიცავს აღჭურვილობის ზომებს, მასალებს და ფუნქციას.

ობიექტზე არსებული ერთადერთი მტაცებლები იქნებიან ფრინველები. იმისთვის, რათა ფრინველების ფაქტორი აცილებული იქნას თავიდან, ჩვენ დავამონტაჟებთ სპეციალიზირებულ ფრინველების ბადეს. ფრინველის ბადეები მოერგება 38,216 მეტრის დიამეტრის გალიებს და ექნებათ დიდი ზომის 150 მმ-იანი ლიოზები. მასალა ჯერ კიდევ შესათანხმებელია, თუმცა განიხილება HDPE, ნეილონი ან დინემა. ფერიც არის აგრეთვე შესათანხმებელი, მაგრამ იქნება შავი, მწვანე ან წითელი. თევზის ბოძების სისტემა შედგება 16 ბოძისგან თითო გალიაში, 6,5 ან 8,0 მეტრი სიგრძით.

I. მიუთითეთ ინფორმაცია საკვებისა და საკვები დანამატების შესახებ (კვების და საკვები დანამატების მწარმოებლები, სავაჭრო ნიშნები, შემადგენლობა); ასევე, მიუთითეთ დეტალური ინფორმაცია სასუქების, სტიმულატორების, სამკურნალო და პროფილაქტიკური მედიკამენტების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, სხვა ქიმიური პროდუქტებისა და მიკრობიოლოგიური ტექნოლოგიების შესახებ;

საკვების მომწოდებლებთან ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა. საკვების მიმწოდებლის შერჩევის პროცესში მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ცნობილ და მაღალი რეპუტაციის მქონე თევზის საკვების მწარმოებელთან. აუცილებელია, რომ მოძიებულ იქნას ნედლეული, რათა უზრუნველყოფილი იქნას კვების ხარისხი. მომხმარებელთა მოთხოვნები და კანონის ნებისმიერი დანაწესი იმპერატიულია. ხარისხის მიმართ ჩვენი მოთხოვნები, რომლებსაც ვითხოვთ საკვების მწარმოებლისგან, ასევე მოიცავს

ნედლეულის კვლევას, იმისთვის, რომ გავარკვიოთ, თუ რისგან შედგება კონკრეტული საკვები. ეს ფაქტორები მნიშვნელოვანია მოხმარებისა და წარმოების პასუხისმგებლობით განსახორციელებლად და ხარისხიანი პროდუქციის უზრუნველსაყოფად. ყველა ნედლეული იქნება გმო-ს გამოყენების გარეშე წარმოებული წყაროებიდან. კომპანია ითანამშრომლებს საკვები პროდუქტების ისეთ გლობალურ მწარმოებლებთან, როგორცაა თურქული კომპანია -NOORDZEE და დანიური - BioMar, რომლებიც ცნობილი არიან მათ მიერ წარმოებული საკვების მაღალი ხარისხით. მსოფლიოში არსებული ტენდენციის გათვალისწინებით, გამოყენებული იქნება მცენარეული საკვები. აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რადგან კვლევები ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ამ ეტაპზე საკვებთან მიმართებით მეტად დეტალიზებული ინფორმაციის წარმოდგენა ჩვენი მხრიდან შეუძლებელია.

J. გამოსაყენებელი ტექნოლოგიების, აღჭურვილობისა და ტექნოლოგიური ციკლის აღწერა.

ფაზა 1: დამაგრების სისტემის, 6 ერთეული 38,216 დიამეტრის მქონე გალიების, ბადეების, ფრინველების ბადეების, წყალქვეშა კამერების, სენსორების (ტემპერატურა, ჟანგბადი, დინება) მონტაჟი.

ფაზა 2: საკვების ბარჟის, დამატებითი 6-8 ცალი HDPE 38,216 მ დიამეტრის გალიების, ბადეების, ფრინველების ბადეების, წყალქვეშა კამერების, სენსორების (ტემპერატურა, ჟანგბადი, დინება) მონტაჟი.

დამატებითი ფაზები გთხოვთ, იხილოთ ბიზნეს გეგმაში.

5. ხმაური და სინათლე

მითითება: თუ შეკითხვა არ ეხება თქვენს მიერ შემოთავაზებულ ოპერაციებს, გთხოვთ დაწეროთ - არ გამოიყენება.

A. რა ტიპის მცურავი საშუალებები იქნება გამოყენებული ტერიტორიაზე? როდის და რამდენად ხშირად იქნება ეს საშუალებები ადგილზე?
(მცურავი საშუალებების სპეციფიკაცია, სიგრძე, მრავის სიმძლავრე, მოწყობილობები)

საოპერაციო თევზის მეურნეობას დასჭირდება სხვადასხვა ტიპის მცურავი საშუალება. კატამარანი მძიმე სამუშაო აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საღებუ სისტემების დამონტაჟებისა და მომსახურებისთვის, ბადების დამონტაჟებისა და შენარჩუნებისთვის, გადაიტანს საჭირო აღჭურვილობას სახმელეთო ბაზასა და თევზის მეურნეობას შორის. საკვების ბარჟის განთავსების შემდეგ (სავარაუდოდ, მე-2 ფაზადან) კატამარანი ასევე გამოყენებული იქნება თევზის საკვების ბარჟაზე შესატანად და ცარიელი საკვების ტომრების სახმელეთო ბაზაზე გადასატანად. ასევე, მკვდარი თევზის ტრანსპორტირებისა და სხვა საჭიროებებისათვის.

გამოყენებული იქნება 1 ან 2 სამუშაო ნავი, რომელთა სიგრძე მერყეობს 590 სმ-დან 850 სმ-მდე, ყოველდღიური მოვლითი სამუშაოებისთვის, მკვდარი თევზის მოსაშორებლად და პერსონალის ტრანსპორტირებისთვის.

სამუშაო ნავები და კატამარანები იქნება ობიექტზე ყოველდღიურად სეზონის განმავლობაში, ოქტომბრიდან - მაისი/ივნისამდე და როდესაც საჭირო იქნება არასეზონურადაც - შეკეთების, დამონტაჟების და ა.შ. სამუშაოებისათვის. ყველა მხურავი საშუალება იქნება CE სერტიფიცირებული.

მცურავი საშუალებების საერთო რაოდენობა წლების და წარმოების მოცულობასთან მიმართებით, გთხოვთ, იხილოთ ბიზნეს გეგმაში.

B. რა ტიპის ელექტრომოწყობილობა იქნება გამოყენებული ადგილზე? როდის და რამდენად ხშირად იქნება გამოყენებული აღჭურვილობა?

აღნიშნული საკითხი კვლევის პროცესშია. ბარჟის განთავსებამდე 2025 წელს, ობიექტს მოემსახურება სამუშაო ნავები და კატამარანი ან მრავალფუნქციური მხურავი საშუალება, რომელიც იმუშავებს სახმელეთო ბაზიდან. შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ასევე ბადის გამრეცხი, თუკი ამას ბადების დაბინძურების ხარისხი მოითხოვს.

C. მიუთითეთ, როგორ იგეგმება მცურავი საშუალებების და ელექტრომოწყობილობების ხმაურის დონის შემცირება.

AKVAgroun-ის ყველა მოწყობილობა ოპტიმიზებულია სათანადოდ, რათა შემცირდეს ხმაურის დონე და ზოგადად, ძლიერი ხმაური გარემოში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ფაქტორების შესაბამისად. ამ კუთხით, ჩვენ მივყვებით საერთაშორისო სტანდარტებს და არსებულ შიდა კანონმდებლობას, შესაბამისად, კომპანია სრულად დააკმაყოფილებს როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საკვები ბარჟას დამონტაჟებისას ექნება იზოლირებული ძრავის ოთახი, რომელიც თითქმის არ გამოიწვევს ხმაურს. სამუშაო ნაგებებს და კატამარანს ექნება ხმაურის ის დონე, რომელიც ჩვეულებრივი ნაგებობებისაა დამახასიათებელი.

D. მიუთითეთ განათების რაოდენობა, ტიპი, სიმძლავრე და მდებარეობა (გარდა ნავიგაციისთვის ან მარკირებისთვის გამოყენებული განათების), რომლებიც გამოყენებული იქნება ტერიტორიაზე.

გამოყენებული იქნება გალიის განათება ნაგებობებსა და საზღვაო ტრანსპორტს შორის შეჯახების თავიდან აცილების მიზნით. ბარჟის დამონტაჟებისას დამატებით იქნება განათებები და ფარნები შიდა რეგულაციების შესაბამისად ნავიგაციის უსაფრთხოებისთვის.

E. მიუთითეთ მომარაგების პუნქტები (პორტი), ასევე დააზუსტეთ იგეგმება თუ არა ნავმისადგომის მოწყობა.

მომარაგება განხორციელდება ბათუმის საზღვაო ნავსადგურის აკვატორიიდან.

F. მოხდება თუ არა საქმიანობის განხორციელება ღამის საათებში? (სამუშაო ციკლის აღწერა)

ჩვეულებრივ, ღამის საათებში აქტივობები არ განხორციელდება. გამონაკლისი შეიძლება დაიშვას გალიების დათევზიანების დროს, თევზების ამოყვანისა და მოგვიანებით საკვების ბარჟის თევზის საკვებით მომარაგების დროს. ასევე, ღამის საათებში შესაძლოა განხორციელდეს ეკიპაჟის წევრების შეცვლა/ განთავსება საკვების ბარჟზე, როდესაც ის დამონტაჟდება ნაკვეთზე.

G. ინფორმაცია საზღვაო უსაფრთხოების შესახებ, კერძოდ, ნავსადგურის, აკრძალული რეგიონების, გემების შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების შესახებ, ასევე, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის შესაბამისი დასკვნა.

(საკუთრების დაცვისა და პერსონალის შრომითი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია; რისკების პრევენციის გეგმა და მონიტორინგი).


იქიდან გამომდინარე, რომ ის ზონა, სადაც განთავსებული იქნება ობიექტი, არ ექცევა ნავსადგურისა და აკრძალული რაიონების ზონაში, აღნიშნული საკითხი არარელევანტურია. საკუთრების დაცვასთან მიმართებით, აღვნიშნავთ, რომ საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა პირველ ფაზაში მიღწეული იქნება ობიექტზე სამეთვალყურეო კამერების დაყენებით, ხოლო მეორე ფაზიდან, გარდა სამეთვალყურეო კამერებისა, განთავსდება საკვები ბარჟა, რომლიდანაც 24/7 -ზე ობიექტს დააკვირდებიან ობიექტის დაცვაზე პასუხისმგებელი შესაბამისი პირები.

6. გარემოს დახასიათება

A. დინების სიჩქარე?

2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის თებერვლამდე პერიოდში ჩატარებული წინასწარი გარემოსდაცვითი კვლევები მიუთითებს მაქსიმუმ 0,66 მ/წმ. გარემოსდაცვითი კვლევები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

ქვემოთ მოცემულა ობიექტზე გაზომილი მონაცემების მაგალითი.



B. ბენტოსი და სენსიტიური საცხოვრებელი ადგილები?

დღეის მდგომარეობით არსებული კვლევებით, შემოთავაზებული ობიექტის ადგილას ბენტოსი და სენსიტიური ადგილები არ ფიქსირდება.

C. ინფორმაცია ველურ სახეობებში თევზის დაავადებების გავრცელების პრევენციისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ; ინფორმაცია აკვაკულტურის სტრუქტურულიდან გარემოში გაქცევის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;

ცისარტყელა კალმახი/კალმახი არის სახეობა, რომელიც უკვე მოშენებულია შავი ზღვის რამდენიმე ქვეყანაში (თურქეთი, რუსეთი, რუმინეთი), ამიტომ ახალი სახეობების შემოტანა/ მოშენება არ მოხდება.

სამეურნეო ოპერაცია ჩატარდება თევზის ჯანმრთელობის მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, თევზის დაბალ სიმჭიდროვეს ერთეულზე, კარგი თევზის მოშენებას, ვაქცინაციას სმოლტის სტადიაზე, სიკვდილიანობის პოლიტიკას და მკვდარი თევზის მოცილებას, ასევე თევზის ჯანმრთელობის სამსახურთან და ვეტერინარულ შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობას. კონკრეტულად კი, კომპანია თანამშრომლობას გეგმავს Akvaplan-niva - სთან, რომელიც წარმოადგენს არაკომერციული კვლევისა და განვითარების ინსტიტუტს და რომელსაც გამოცდილება აქვს წყლის ყველა სახის გარემოსთან მიმართებით. Akvaplan-niva-ს ლაბორატორია აკრედიტებულია ნორვეგიული NS 9410:2016 სტანდარტის მიხედვით. მათი მხრიდან ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება და ტერიტორიის კვლევა განხორციელდა შავი ზღვის რეგიონშიც. ასევე, Akvaplan-niva საკუთარი პროტოკოლების მიხედვით უზრუნველყოფს მეურნეობაში დაავადების შეჭრისგან თავდასაცავ ღონისძიებების გატარებას საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც მოიცავს: გალიებში თევზის დაბალ სიმჭიდროვეს, სმოლტების ვაქცინაციას, მკვდარი თევზის ადგილიდან მოცილებას და სხვ.

ნორვეგიულ პრაქტიკაზე დაყრდნობითა და ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ დარგში ქართული ადგილობრივი კომპანიების ცოდნა მწირია, ნებართვის მაძიებელი ვეტერინარული სამსახურის მომსახურებას მიიღებს აუტოსორსინგის გზით, იმ კომპანიებისგან, რომლებიც წარმატებით ოპერირებენ ამ დარგში საზღვარგარეთის ქვეყნებში,

დღეის მდგომარეობით, მათთან მიმდინარეობს შესაბამისი მოლაპარაკებები. ამ კომპანიებისგან გარკვეული ცოდნა-გამოცდილების მიღება-დაგროვების შემდეგ, შპს ბათუმი ფიზინგ კომპანი თავად გეგმავს, რომ საქართველოში ჩაატაროს ტრენინგები, რათა ხელი შეუწყოს ქვეყანაში აკვაკულტურის ვეტერინალური მიმართულებების განვითარებას. შესაბამისად, ამ ეტაპზე, ვეტერინარიის კუთხით თანამშრომლობა განხორციელდება უცხოურ კონტრაქტორებთან.

თევზის „გაქცევის“ თავიდან აცილება უზრუნველყოფილი იქნება იმ აღჭურვილობის მეშვეობით რომელსაც მივიღებთ მომწოდებლისგან (რომელიც არის ამავედროულად ძალიან დიდი გამოცდილების მქონე), ასევე გამოყენებული იქნება ნორვეგიული სტანდარტი NS9415 ყველა ოპერაციაში, ყველა აღჭურვილობის გამოყენების დროს. თევზის „გაქცევის“ მენეჯმენტში დიდ როლს ითამაშებს პერსონალის გაწვრთნა.

ინციდენტების შემთხვევებზე რეაგირებასთან მიმართებით, როგორებიცაა: თევზის გაქცევა, შტორმული მოვლენების დროს გალიების მოწყვეტა და სხვა რისკები, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს წარმოების ციკლის დროს და ამ რისკების შედეგად ზიანის მიყენების შემდეგ რეაგირების გზები კომპანიის მიერ ასახული იქნება რისკების მენეჯმენტის გეგმაში, რომელიც დეტალურად დაარეგულირებს თითოეული შემთხვევის პრევენციის გზებს. ზემოჩამოთვლილი შემთხვევების თავიდან აცილებაში ასევე დიდ როლს შეიტანს ადგილის მენეჯერი და ის პერსონალი, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე სანებართვო განაცხადით და რომლის კვალიფიკაციის ამაღლებაზეც იზრუნებს კომპანია შესაბამისი ტრენინგების ჩატარებით. გასათვალისწინებელია, რომ კომპანიის მიერ აღნიშნულ საკითხებში ხელმძღვანელობა განხორციელდება ნორვეგიულ სტანდარტებზე დაყრდნობით.

7. ექსკლუზიური გამოყენება

ნებართვის გაცემის შემთხვევაში, მოთხოვნილი ტერიტორიის საზღვრებში რა აქტივობების შეზღუდვას ისურვებდით? რატომ? (დასაბუთება).

(მგ. მოქმედი სამრეწველო, სანაპირო და რეკრეაციული თევზჭერა, მცურავი საშუალებების გადაადგილება და სხვა.)

კომპანია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ უშუალოდ მოთხოვნილ ტერიტორიასა და მისგან 5 კმ-ის რადიუსზე სხვა თევზების მეურნეობის არსებობას, რისი უმთავრესი მიზეზიცაა დაავადებათა გავრცელების პრევენცია, რომელსაც ნორვეგიული სტანდარტების მიხედვით, უზრუნველყოფს აღნიშნული დისტანციის დაცვა. 5 კმ-იანი რადიუსის დაცვა არ წარმოადგენს კომპანიის სუბიექტურ, დაუსაბუთებელ შეხედულებას, ამ დისტანციის განუხრელად დაცვის აუცილებლობა დადასტურებულია ნორვეგიული პრაქტიკითა და მეცნიერული მოსაზრებებით, რომელთა თანახმადაც, თევზსაშენებს შორის 5 და მეტი კილომეტრი მანძილის დაცვა არსებითად ამცირებს დაავადებათა გავრცელების ალბათობას.

რაც შეეხება თევზჭერას თევზების მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე, თევზების მეურნეობიდან 100 მეტრის მანძილზე სრულად უნდა იქნას აკრძალული თევზაობა. ამ დისტანციის დაცვით თავიდან იქნება აცილებული სამოყვარულო ან კომერციული თევზაობა გალიებთან ან თევზების მეურნეობასთან. თევზების მეურნეობის ტერიტორიასა და მეურნეობის კუთხეებიდან 200 მეტრში კომპანია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ აკრძალული იყოს სამრეწველო თევზაობა, კომერციული და კერძო გემების გავლა. თუმცა, თუ ამ აქტივობებზე დაწესდება კონტროლი და იქნება მეთვალყურეობის ქვეშ, კომპანია განიხილავს მათ დასაშვებობას.

რაც შეეხება ტერიტორიაზე გადაადგილებას, ტურისტულ და სხვა აქტივობებს, კომპანია ითვალისწინებს ნორვეგიულ სტანდარტებს და მსგავსი აქტივობების განხორციელებას დაუშვებლად მიიჩნევს თევზების მეურნეობიდან 20 მ-ის მანძილზე, რადგან კატარღების მანევრირებამ მეურნეობასთან შესაძლებელია დააზიანოს ან გაანადგუროს გალიების დამაგრების სისტემები ან ხელი შეუშალოს მეურნეობის სწორ ოპერირებას.

შესაბამისად, კომპანია არ ითხოვს ტერიტორიის სრულად დახურვასა და მასთან ახლოს აქტივობების ტოტალურ აკრძალვას. კომპანიის მიზანია არსებული გონივრული სტანდარტების გათვალისწინებით, დაცულ იქნას ზემოთ აღნიშნული მანძილები, რომლებიც ემსახურება ზემოთ ჩამოთვლილ მიზნებს.

კომპანიის მსგავსი ფრთხილი მიდგომები, პირველ რიგში, განპირობებულია ბიოუსაფრთხოებიდან გამომდინარე. სხვადასხვა აქტივობამ შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დააყენოს აკვაკულტურის ობიექტების სიცოცხლე და ხელი შეუშალოს მათ ზრდა-განვითარებას/მოშენებას, რაც, ბუნებრივია, ხელშემშლელი ფაქტორი იქნება თევზების მეურნეობის განვითარებისთვის, რომლისთვისაც, დაახლოებით, 60 მლნ. აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია ხორციელდება. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ დისტანციაზე აქტივობების აკრძალვა პირდაპირ კავშირშია ადამიანების, მეთევზეებისა და მათი აღჭურვილობის უსაფრთხოებასთან, ასევე იმასთან, რომ თევზების მეურნეობის არეალზე აცილებულ იქნას პოტენციური თევზის დაავადებები და თევზების შესაძლო გაქცევა გალიებიდან.

აქვე, ჩვენი პოზიციის დასაბუთებლად, მიზანშეწონილია მაგალითის სახით განვიხილოთ ნორვეგიულ კანონში - „აქტი აკვაკულტურის შესახებ“ მოცემული რეგულაციები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით (ამ აქტის მაგალითად მოყვანა რელევანტურია იმდენად,

რამდენადაც ის მიიჩნევა, მსოფლიოს მასშტაბით როგორც ყველაზე კომპლექსური და დეტალიზებული მარეგულირებელი ჩარჩო-დოკუმენტი აკვაკულტურის ინდუსტრიაში) აქტის მე-18 მუხლის მიხედვით, აკრძალულია ობიექტიდან 100 მეტრზე ახლოს თევზაობა და 20 მეტრზე ახლოს გადაადგილება. მანძილი იზომება სწორი ხაზიდან, რომელიც დახაზულია ობიექტის ფაქტობრივ გარე წერტილს შორის. საბაზისო ხაზის გარეთ ერთი საზღვაო მილის გარეთ, აკრძალულია თევზაობა ან 500 მეტრზე უფრო ახლოს გამგზავრება სტაციონარული ობიექტებისკენ.

კომპანიამ გაიარა შესაბამისი კონსულტაციები ნორვეგიულ ექსპერტებთან იმ საკითხთან მიმართებით, რომ მოთხოვნილი ტერიტორიის მომიჯნავედ მდებარეობს მოლუსკების ზონა. პირველ რიგში, აღვნიშნავთ იმას, რომ კომპანიის მიერ სრულად მოხდება მოლუსკების ზონის ათვისება ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო. ხოლო ნორვეგიული ექსპერტებისაგან მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, მოლუსკების მეურნეობას არ აქვს უარყოფითი გავლენა საკალმახე მეურნეობაზე. უფრო მეტიც, ნორვეგიული ექსპერტები მიუთითებენ, რომ მოლუსკების მეურნეობისათვის სასარგებლოა საკალმახე მეურნეობიდან კვება. შესაბამისად, კომპანიისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს მოთხოვნილი ტერიტორიის მომიჯნავედ მოლუსკების ზონის არსებობა.

8. მიწის მესაკუთრეების განსაზღვრა და ტერიტორიაზე წვდომა

A. იქნება თუ არა საპროექტო ტერიტორიაზე წვდომა სანაპირო ზონის გავლით?

კი არა

B. როგორ მოხდება შესვლა მოთხოვნილ ტერიტორიაზე?

ზღვის საშუალებით, ბათუმის ნავსადგურიდან.

C. რა გავლენას მოახდენს საწარმოო აქტივობები სანაპიროზე შესვლასა და გამოსვლაზე?

ნავები განლაგდებიან ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიაზე და გამოიყენებენ ხელმისაწვდომ საზღვაო მარშრუტებს ობიექტამდე მისაღწევად. თევზის ტრანსპორტირებას არავითარი გავლენა არ ექნება სატრანსპორტო ქსელის დატვირთვაზე.

9. ტექნიკური შესაძლებლობები

1. ინფორმაცია პერსონალის პროფესიული გამოცდილების შესახებ. ინფორმაციას დაურთეთ შემოთავაზებული პროექტის განსახორციელებლად საჭირო რეზიუმეებისა ან პრაქტიკული გამოცდილების არსებობის შესახებ დოკუმენტაცია.
2. თუ კომპანია უკვე საქმიანობს აკვაკულტურის სფეროში, გთხოვთ, მიუთითოთ საქმიანობის წლები, ადგილი, სახეობები და პროდუქციის მოცულობა. ასევე, საკადრო უზრუნველყოფა.

ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ყველასათვის ცნობილ კომპანიებთან ნორვეგიის სამეფოში. ნორვეგიას აქვს ორაგულის მოშენების, თევზის ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და თევზის ჯანმრთელობის მომსახურების დადასტურებული ხანგრძლივი გამოცდილება და ჩვენ ვაპირებთ გამოვიყენოთ ეს გამოცდილება. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ვგეგმავთ, რომ ჩვენი მომწოდებელი იყოს AKVAgrou ASA, რომელიც არის თევზების მეურნეობის ტექნოლოგიის მწარმოებელი მსოფლიოს უმსხვილესი კომპანია. მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, რომელიც თარიღდება თანამედროვე თევზის მეურნეობის ადრეული დღეებიდან (1970-იანი წლები). კომპანია მსოფლიოს მასშტაბით მუშაობს თევზის ისეთ სახეობებზე, როგორცაა: ორაგული, კალმახი, ბასი, კაპარჭინა, კობია, ტილაპია. AKVAgrou ASA-ზე მეტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილეთ შემდეგი მისამართი: www.akvagroup.com.

გადამუშავების ოპერაციებისათვის, მათ შორის, წარმოების, გაგრილების, შეფუთვის და ტრანსპორტირებისთვის (აღნიშნულ საკითხზე, ინვესტიციების ოდენობასა და წარმადობაზე დეტალური ინფორმაცია, გთხოვთ, იხილოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილ ბიზნეს გეგმაში). აქვე აღვნიშნავთ, რომ, ამ ეტაპზე, კომპანია სამაცივრე მეურნეობის მოწყობას არ გეგმავს. განვიხილავთ ასევე ნორვეგიულ კომპანია - Optimar-თან თანამშრომლობას, რომელიც წარმოადგენს ძალიან გამოცდილი კომპანიას და ათწლეულებია, რაც მუშაობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ოპტიმარის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.optimar.no თევზის გამოკვების კუთხით, თანამშრომლობას ვგეგმავთ თურქული კომპანია -NOORDZEE და დანიური - BioMar-თან, ხოლო თევზის ჯანმრთელობისა და ვეტერინარულ საკითხებზე - Akvaplan-niva-სთან.

დეტალური ინფორმაცია, თუ სად გეგმავს კომპანია პროდუქციის რეალიზაციას და რა გეგმები აქვს ამის მისაღწევად; თუ რა ინვესტიციის რა ნაწილი დაიხარჯება იმპორტზე და რა ნაწილი ქვეყნის შიგნით პროდუქციის/მომსახურების შესყიდვაზე წლების მიხედვით, რა სახის და მიმართულების ინვესტიციები იგეგმება, ასევე, პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის საქართველოში დასრულებაზე ინფორმაცია (რამდენი შეიძლება გავიდეს ექსპორტზე გადაუმუშავებელი, რა მოცულობით და ფორმით გადაუმუშავდება ბაზარზე მოხვედრამდე), გთხოვთ, იხილოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილ ბიზნეს გეგმაში, რომელშიც მოცემულია აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე დეტალური ბაზრის ანალიზი.

პერსონალის სწავლება და წვრთნა იქნება ჩვენი კომპანიის საწყისი საქმიანობების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ყველა პროცესი, რომელიც დაკავშირებულია თევზის შენახვასთან, კვებასთან, მეურნეობასთან, გადამამუშავებასთან, მოვლა-პატრონობასთან, მომსახურებასთან, ტრანსპორტირებასთან და მარკეტინგთან, იქნება დაორგანიზებული როგორც სასწავლო პროგრამები, ჩვენი პარტნიორების გამოცდილებისა და კავშირების გამოყენებით. ჩვენ ასევე მიზნად ვისახავთ დავიჭიროთ ობიექტის გამოცდილი მენეჯერი, რათა დავიცვათ ყველა საჭირო სამუშაო ოპერაცია, კვების პროცესები, მომსახურების ფუნქციები და ა.შ. ჩვენ ახლა ვმუშაობთ პერსონალის სქემაზე, რათა დავიცვათ ყველა სამუშაო პოზიცია მეურნეობაში და მასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესები.

ამ ეტაპზე, მიგვაჩნია, რომ ობიექტზე საჭირო იქნება შემდეგი პერსონალი (თითო ფერმას გამართულად ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება 15 ადამიანი):

ობიექტის მენეჯერი (რომელსაც შესაბამისი გამოცდილება ექნება, რომ უხელმძღვანელოს თევზების მეურნეობას), ობიექტის მენეჯერის დამხმარე, ტექნიკური დირექტორი (რომელიც პასუხისმგებელი იქნება ობიექტზე განთავსებულ ყველა ტექნოლოგიასა თუ აღჭურვილობაზე), კატამარანის ოპერატორი, პროცესების მენეჯერი და სხვა თანამშრომლები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველდღიურ საქმიანობას განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში. თევზის ჯანმრთელობასა და გამოკვებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომპანიებს დავიქირავებთ და იქნებიან „აუტოსორსინგზე“ მომუშავე, რომლებიც გარედან დააკვირდებიან პროცესების მიმდინარეობას და განახორციელებენ მათზე კონტროლს.

ჩვენ განვიხილავთ ჩვენს პარტნიორებთან სამუშაო და სასწავლო პროგრამების მოწყობას და საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორცაა ნორვეგიული „Blue Planet“, რომელიც საჭიროებების მიხედვით აწყობს შესაბამის კურსებს. „Blue Planet“-ის აკადემიის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <https://blueplanetacademy.com/en/>.

პერსონალის სწავლება-წვრთნასთან მიმართებით, კომპანია გეგმავს პერსონალის გადამზადებას, კურსების, ტრენინგებისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას საქართველოს ფარგლებში, ქვეყნის შიგნით. მსგავსი აქტივობის საზღვარგარეთ განხორციელება არ არის გათვალისწინებული, რადგან კომპანიას ქვეყნის შიგნით გადამზადება მიაჩნია უფრო მეტად ეფექტურად. ამ გზით კომპანიას შესაძლებლობა ექნება რაოდენობრივად მეტი ადამიანი გადამზადოს, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში აკვაკულტურის განვითარებას.

10. ფინანსური შესაძლებლობები

A. ფინანსური შესაძლებლობები

გთხოვთ, წარმოადგინოთ დოკუმენტაცია პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსის შესახებ. მაგალითად, წერილი ფინანსური ინსტიტუტიდან, სადაც გამოხატულია მათი მზაობა საქმიანობაში ინვესტიციის განხორციელების მიზნით.

ნებართვის მაძიებელ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ უზრუნველყოს სანებართვო საქმიანობისათვის საჭირო ინვესტიციის განხორციელება. მოთხოვნის შემთხვევაში, მზად ვართ, წარმოგიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

B. ხარჯთაღრიცხვა

გთხოვთ, წარმოადგინოთ შემოთავაზებული საქმიანობის ხარჯთაღრიცხვა. პროექტის მთელი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა, მოსალოდნელი ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი, დასაქმება, ნედლეულის ფასები, (cash flow), აღჭურვილობისთვის განსაზღვრული ინვესტიციები, ამორტიზაციის პერიოდი.

იქიდან გამომდინარე, რომ მეურნეობის ნაკვეთის გარემოსდაცვითი შესაბამისი კვლევები არ არის დასრულებული, შესაბამისად, საინვესტიციო ხარჯები არ არის ზუსტად დადგენილი, გთხოვთ, ფინანსური გეგმა იხილოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილ ბიზნეს გეგმაში, სადაც ზუსტად არის წარმოდგენილი ამ გრაფაში მოცემული ინფორმაცია. შეფასების სახით, შეიძლება ითქვას, რომ პროექტის სავარაუდო საინვესტიციო თანხა შეადგენს დაახლოებით 60 მილიონ დოლარს. ჩვენი მხრიდან პირველი ფაზისთვის საჭირო იქნება შემდეგი საზღვაო აღჭურვილობის შეძენა: 6 ცალი გალია, სამუშაო კატარღები საკვები ქვებზე - 2 ცალი, თევზის ბადეები 13 ცალი, წყალქვეშა კამერის სისტემა (6 გალისთვის), საღებავი სისტემა და სხვა აქსესუარები, როგორცაა სენსორები და ა.შ.

ჩვენ ასევე განვიხილავთ მუშა კატამარანის შეძენას (სავარაუდო 1.5-2 მილიონი აშშ დოლარი), მაგრამ, შესაძლოა, მისი ჩანაცვლება მოხდეს მომსახურე გემით, რომელსაც შეუძლია განხორციელოს ოპერაციები ზღვაზე, მათ შორის, ბადეების გამოცვლა, ნავმისადგომის სისტემის მომსახურება, სარეალიზაციო თევზის, სმოლტისა და საკვების ტრანსპორტირება და ა.შ.

იქიდან გამომდინარე, რომ მიმდინარეობს მეურნეობის საბაზისო მოწყობის ჩამოყალიბების პროცესი, თევზის საკვების, სმოლტების და სხვა კომპონენტების ფასებზე გვჭირდება ვაწარმოებთ დამატებით მოლაპარაკებებს, თუმცა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 2022 წლიდან დღემდე უკვე განხორციელდა, დაახლოებით, 600 000 ლარის ინვესტიცია.

ოპერაციული ხარჯების გაანგარიშება ასევე ნაჩვენებია ბიზნეს გეგმაში. რაც შეეხება ლოჯისტიკისა და ტრანსპორტირების საკითხებს, სმოლტის ტრანსპორტირება განხორციელდება თევზის კარიერებით, გემით ან მანქანებით. ტრანსპორტირებისას გამოყენებული იქნება საზღვაო ან სახმელეთო ტრანსპორტი (შეფუთული იქნება 25-კგ-იან პარკებში).

C. პროექტის ეკონომიკური გამოთვლები და მონაცემები

ინფორმაცია ინვესტიციების შესახებ, პროდუქციის სავარაუდო ფასები, წლიური წარმოების მოცულობა, წლიური საპროცენტო განაკვეთები, ინვესტიციებიდან პოტენციური შემოსავლების ანალიზი.

პირველი ინვესტიციების განხორციელება დაიწყო 2022 წლის ნოემბრიდან და დღემდე უკვე განხორციელდა 600 000 ლარის ინვესტირება წარმოდგენილ პროექტში. 2024 წლისთვის, როდესაც მოხდება ლიფსიტების ბადეებში ჩაშვება-გაზრდა (მეურნეობის მოწყობა, გემების შექმნა და კვებისთვის საჭირო თანხა), იგეგმება 12 817 000 აშშ დოლარის გამოყოფა. 2025 წელს განხორციელდება პირველი თევზის ამოყვანა და დაიწყება პროექტის მე-2 ფაზა, რომლისთვისაც ინვესტირდება 4 712 000 აშშ დოლარი. მეორე ფაზის ბადეები და ლიფსიტები ჩაეშვება 2026 წელს.

2026 წლის ბოლოს დაიწყება პროექტის მე-3 ფაზა, ჩაეშვება ახალი ბადეები, რომლისთვისაც ინვესტირდება 9 934 000 აშშ დოლარი, 2027 წლისათვის - 17 605 000 აშშ დოლარი, ხოლო 2028 წელს - 9 752 000 აშშ დოლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით (ასევე, იმის მხედველობაში მიღებით, რომ კომპანია განიხილავს საკუთარი ლიფსიტების საწარმოს გახსნას, რისთვისაც დამატებით შეიძლება ინვესტირდეს 6 მლნ. ევრომდე), ჯამურად პროექტში ინვესტირდება 55 მლნ. აშშ დოლარი.

D. გეგმები

გეგმავთ თუ არა ამ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფრასტრუქტურის შექმნას (მაგ. აკვაკულტურის ობიექტის თევზის გადამამუშავებელი ობიექტი) ?

კომპანია ნებართვის მოპოვებიდან 3 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე თევზის გადამამუშავებელი საწარმოს აშენება-მოწყობას და წარმოებული თევზის საბოლოო პროდუქტად დამარილებას, გაცივებას ან/და გაყინვას (ერთ-ერთი ჩამოთვლილი ან კომბინირებული ფორმით). გადამამუშავებელი საწარმოს მოსაწყობად ნებართვის მაძიებელი კომპანია განახორციელებს 10 000 000 აშშ დოლარის ინვესტირებას, საიდანაც პირველ 5 წელიწადში იქნება არანაკლებ 3 მლნ აშშ დოლარი დაინვესტირებული. მიმდინარეობს ტერიტორიების მოძიება. დეტალური ინფორმაცია, თუ რა პერიოდში და რა ეტაპზე გეგმავს კომპანია აღნიშნულის განხორციელებას, გთხოვთ, იხილოთ ბიზნეს გეგმაში.

E. დაზღვევა

გეგმავთ თუ არა დაგეგმილი საქმიანობის დაზღვევას და როგორ?

X კი არა

კომენტარი:

საქართველოში აღნიშნული საქმიანობას არ აზღვევს არც ერთი ბაზარზე არსებული სადაზღვეო კომპანია. აღნიშნული საკითხები გავიარეთ ჩვენს ნორვეგიულ პარტნიორებთან, რათა მოგვეძებნა საერთაშორისო პლატფორმაზე ის სადაზღვეო კომპანია, რომელიც დააზღვევდა ამ ტიპის საქმიანობას. როგორც მივიღეთ ინფორმაცია, არც ერთი ნორვეგიული სადაზღვეო კომპანია არ გამოთქვამს თანხმობას, რომ საქმიანობა დააზღვიოს საქართველოში, მათი რისკზე დაფუძნებული ფრთხილი მიდგომებიდან გამომდინარე. კომპანია მოლაპარაკებებს აწარმოებს თურქულ სადაზღვეო კომპანიებთან. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი ამ მომენტისთვის რჩება ღიად და ის დაზუსტდება შემდეგ ეტაპებზე.

F. სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაცია

საქმიანობიდან მისაღები სარგებელი (დასაქმების შექმნის შესახებ და სხვა შესაბამისი ინფორმაცია).

მე-5 ფაზის ჩათვლით, ობიექტზე დასაქმებული იქნება 60 ადამიანი (თითოეულ ფერმას გამართულად ფუნქციონირებისათვის სჭირდება 15 ადამიანი), თუმცა, საჭიროებისამებრ, ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება და დაზუსტდება.

01/05/2024 წ.

განმცხადებელი: შპს „ბათუმი ფიშინგ კომპანი“

წარმომადგენელი: თამარ იოსელიანი